

ნომბერსა :კე:

წამებაჲ წმიდისა ანტონი ალექსანდრელ მაგათ-მთავრისაჲ*

აყო რაჟამს-იგი შეიპყრეს ნეტარი პეტრე მთავარებისკოპოსი ალექსანდრიადასაი მოციქულთა მათ, რომელნი მოვლინებულ იყვნეს მეფისა მიერ, და შეაყენეს იგი საპყრობილესა. ოა იყო მათ დღეთა შინა ღვეწულებაჲ ქრისტეანეთა ზედა. ოა ბრძანებაჲ გამოჲდა მეფისაგან, რაჲთა მოჰკუეთოს ნეტარსა მას თავი. ოა ვითარცა მოიწია წიგნი იგი მეფისაჲ და აღმოიკითხეს, მოსწრაფე იყვნეს მოციქულნი იგი, რაჲთამცა აღასრულეს ბრძანებაჲ იგი მისი. ოა უნდა, რაჲთა გამოიყვანონ წმიდაჲ იგი საპყრობილით და მოკლან.

ჰაშინ შეკრბეს ქრისტეანენი, რომელნი იყვნეს ალექსანდრიას შინა, და დასხდეს კართა ზედა საპყრობილისათა და სცვიდეს მწყემსსა მათსა წმიდასა პეტრეს, კმობდეს და იტყოდეს: «მოგუსრენით ჩუენ ყოველნი უწინარედს მისა, და არა ვენოს მას ბოროტი». ღოლო მოციქულნი იგი განიზრახვიდეს მრავლად, თუ ვითარ გამოიყვანონ იგი თვნიერ ერისა, და არა ვენოს სიმრავლესა მას ბოროტი, რამეთუ დიდძალი სიმრავლეჲ შეკრბულ იყო მოხუცებულთაჲ და ჭაბუკთაჲ, ღედათაჲ და ყრმათაჲ, მარტოდ-მყოფთა მონაზონთაჲ და ქალწულთაჲ და გოდებდეს იგი ყოველნი და იგლოვდეს და დასთხვდეს ცრემლთა მკურვალეთა მწყემსსა მას ზედა კეთილსა. ოა განიზრახეს მოციქულთა მათ, რაჲთა შევიდენ საპყრობილედ და გამოიყვანონ წმიდაჲ იგი, და ვინ დაემთხვოს კაცთაგანი საპყრობილისა კართა ზედა, მოკლან იგი.

ოა ვითარ ესმა არიოზს საქმედ ესე, შეეშინა და განიზრახა თავსა შინა თვსსა და თქუა: «უკუეთუ განსრულდეს წამებაჲ მთავარებისკოპოსისაჲ, ღავთუ მე კრული და განგდებული ეკლესიისაგან, რამეთუ არიოს წმიდასა მამასა ჩუენსა მთავარებისკოპოსსა პეტრეს კრულ ყოო და შეეჩუენა წვალეებისა მისთჳს, რომელი შემოიღო წმიდასა სამებასა შორის. ჰაშინ წარვიდა საწყალობელი იგი და შეკრიბნა მღღელნი და ღიაკონნი და ევედრა მათ და არწმუნა, რაჲთა შევიდენ საპყრობილედ და დაცკვენ წინაშე მთავარებისკოპოსისა, რაჲთა შეი-

წყალოს იგი და განკსნეს კრულებისაგან.

ოა სხუანიცა კაცნი მიიყვანნა ვედრებად მისა, და ჰგონებდეს იგინი, ვითარმედ საქმეჲ ესე კეთილ არს სარწმუნოებისათჳს. ოა შევიდეს საპყრობილედ, რაჲთა ევედრენ მისთჳს მთავარებისკოპოსსა პეტრეს. ოა ვითარ მიიწიენეს მისა, და ყო მათთჳს ღოცვაჲ, და მათ მოიკითხეს იგი და ამბორს-უყვეს კელთა მისთა, დაცკვენ მის წინაშე ქუეყანასა ზედა, ევედრებოდეს და ეტყოდეს: «გვედრებით, წმიდაო მამაო, რაჲთა წყალობა-ჰყო და ისმინო ვედრებაჲ ჩუენი». ოა უბრძანა, რაჲთა აღემართენ. ოა ვითარ აღდგეს, ჰრქუა მათ: «რასა ითხოვთ?» ღოლო მათ მიუგეს და ჰრქუეს მას: «ვითხოვთ სიწმიდისა შენისაგან, ჰ მწყემსო კეთილო, ვინადთგან გიწოდა შენ უფალმან, მეუფემან დიდებისამან ჰატოვსა ამას და დიდებასა მეცნიერებისა მისისასა, რაჲთა იყო ზიარ ვნებათა მათ ძისა მისისა მხოლოდ-შობილისათა და ვიდრე სიკუდილდმდე იღუწი დაბადებულთა, და აჰა ესერა დაახლებულ არს ნებითა ღმრთისაჲთა ჟამი იგი, რაჲთა ღირს იქმნე მოღებად გვრგვნსა მას წამებისასა, და შვესწირავთ ამას ვედრებასა წინაშე შენსა, რაჲთა განკსნე კრულებაჲ იგი არიოსისი და კუალად-ავო განყენებაჲ მისი ეკლესიაღვე».

ოა ვითარცა ესმა, რამეთუ აკსენებენ არიოსს, კმა-ყო წმიდამან მან და თქუა: «არიოზისთჳს მევედრებითა?» მაშინ აღიპყრნა კელნი თვსნი და თქუა: «იყავნ არიოს კრულ და შეჩუენებულ დიდებისაგან ძისა ღმრთისა ამას საწუთროსა და მერმესა მას საუკუნესა». ოა ვითარ თქუა ესე, დაეცა შიში და ძრწოლაჲ მათ ყოველთა ზედა, და არღარავინ იკადრა სიტყვს-მიგებად ყოვლაღვე. ოა ცნეს, ვითარმედ სხვსაგან განკრძალულმან მიუგო მათ. ოა ვითარ იხილნა იგინი წმიდამან მან, რამეთუ დაირწმუნეს სიტყუაჲ მისი და შიშითა და გულის-ძრახვითა შეპყრობილ არიან, შევიდა შორის მათსა და გამოიყვანნა ორნი მოხუცებულნი მღღელთაგანნი, აქილა და ალექსანდროს, განშორებულადრე ერისაგან და დაადგრა

* ქართული ენის ისტორიული ქრესტომათია, II, გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1963. გვ. 74-83.

შორის მათსა. ოა იყო აქილა მარჯუენით მისა და ალექსანდროს — მარცხენით, და უთხრა მათ, რად-იგი იხილა მოწამემან მან ქრისტესმან, და პრქუა მათ, რამეთუ: «ძალითა ქრისტემისთა სრულ იქმნეს წამებაჲ ჩემი, ვითარ-იგი მეუწყა მე, ხოლო შენ, აქილა მღდელი, იყავ შემდგომად ჩემსა განმგებელ ეკლესიასა ზედა და საყდარსა, და შემდგომად შენსა იყოს ალექსანდრე.

ოა ესრეთ მოვიღე ბრძანებაჲ, რადთა გაუწყო თქუენ. ოა ნუ ჰგონებთ, ვითარმედ სიძულილით და ძვრის-ცხენებით ვყავ ესე არიოზისტოზს და დავიმარხე გულსა ჩემსა ძვრი მისთვს. ჩუ იყოფინ. სრამედ ბრძანებითა ღმრთისადთა და არა ნებითა ჩემითა, დადაცათუ ცოდვილ ვარ, ვითარ-იგი მეუწყა მე, ჯრეთ შევაჩუენე იგი.

ოა აჰა ესერა გაუწყებ თქუენ, რამეთუ ამას ღამესა, ვდევ რად ჩუეულეებისაებრ ლოცვასა შინა, ვიხილე ყრმაჲ წული შემომავალი ჩემდა კარისაგან ამის სენაკისა. ოა იყო იგი ჰასაკითა ვითარ ათორმეტის წლის, და პირი მისი ბრწყინვიდა, ვითარცა მზეჲ, ვიდრემდის განათლდა სახლი ესე ყოველი. ოა ემოსა მას სამოსელი სელისად, და იყო იგი განხეულ საშუვალ საკელითგან და მკრდითგან, ვიდრე ქუე ფერკადმდე. ოა იყვნეს ორნივე კელნი მისნი მკერდსა მისსა ზედა. ოა შეიპყრა კიდეჲ იგი განხეულთაჲ მათ სამოსლისად მის და იფარვიდა სიშიშულესა მას თვსსა. ოა ვითარ ვიხილე მე ესრეთ, შემიპყრა განკვრევბამან და ზარმან, და მყის აღვადე პირი ჩემი მისა მიმართ, კმა-ვყავ კმითა მადლითა და ვთქუ: „უფალო, ვინ განაპო სამოსელი შენი?“ მომიგო და მრქუა მე: „არიოს განაპო, არამედ იხილე და იგულე ამიერითგან და ნუ შეიწყნარებ მას ზიარებასა სარწმუნოებისასა და უწყოდე, რამეთუ მოსლვად არიან შენდა ვედრებად მისთვს, არამედ იხილე და ნუ შეიწყნარებ ვედრებასა მათსა და ამცენ აქილას და ალექსანდრეს მღდელთა, რადთა არა შეიწყნარონ იგი, რამეთუ შემდგომად შენსა მათ დაპყრობად უც პატოვი შენი და მწყსიდენ ივინი კრავთა ეკლესიისა ჩემისათა, ხოლო შენ სრულ იქმნე ნაწილსა მას და ღუაწლსა წამებისასა“.

ოა აქამომდე იყო ჩუენებაჲ იგი, და აჰა ესერა მითხრობია თქუენდა და ღამირწმუნებია ყოველი, რომელი ბრძანებულ არს ჩემდა. ღოლო აწ თქუენ, ძმანო, იხილეთ, ვითარ-იგი ვიყავ თქუენ თანა ყოველსა ამას ჟამსა, რამეთუ ვიქცეოდე სიმდაბლით და სიმშკლით, და განსაცდელნი რავდენინი შემემთხუეოდეს მე კერპთ-მსახურთაგან, და ვეველტოდე ადგილითი ადგილად და შუვა-მდი-

ნარედ და ფინიკედ, საერომა და პალესტინედ და ჭალაკად მრავლად და არა დაესცხრებოდე მოწერისაგან ფარულად და დამტკიცებად ძალითა ქრისტემისთა ერი ესე სარწმუნოებასა და დღე და ღამე ვზრუნევდი სამწყსოდსა ამისთვს, რომელი მერწმუნა მე, ვიღუწიდ მათთვს ყოვლითა მოსწრაფებითა და ტკივილითა და უფრომს ხოლო ეპისკოპოსთათვს საწადელთა, რომელნი იყვნეს ფილავს და ვესუქიოს და პახუმიოს და თევდოროს, და შეყენებულ იყვნეს ივინი საპყრობილესა სარწმუნოებისათვს ქრისტემისსა, რომელნი ღირს იქმნეს და იწოდნეს მადლისა მიერ, და არა დაესცხრებოდე მოწერად მათა შუვა-მდინარით.

ოა დიდი ურვაჲ და მწუხარებაჲ მაქუნდა მათთვს, ნუუკუე შემემთხვოს მათ ქცევად სარწმუნოებისაგან და იქმნენ მიზეზ წარწყმედის მრავალთა, რამეთუ იყუნეს ივინი მწყემს და მთავარ. ოა კუალად მღდელნი იგი, რომელნი იყვნეს მათ თანა საპყრობილეს, და იყო რიცხუ მათი უმრავლეს ექუსას სამეოციას სულისა და იწამნეს მადლითა ღმრთისადთა იგი ყოველნი აქა უწინარემს მცირედთა დღეთა, ვითარ-იგი თქუენ უწყით. ოა დიდსა ზრუნვასა და ტკივილსა შინა ვიყავ მათთვს, ვიდრემდის აღასრულეს წამებაჲ მათი.

ოა ვითარ მესმა, რამეთუ წამებაჲ მათი სრულ ქმნულ არს, აღვდევ მას ჟამსა შინა და თავუანის-ვეც ქრისტესა და მადლობად შევწირე მისა, რომელმან განაძლიერნა და სრულ-ყო წამებაჲ მათი და შეპრაცხნა ივინი რიცხუსა წმიდათა მოწამეთასა.

ოა უწყით სამე კუალად, რავდენი ბოროტი შემემთხვა მალატიოსისგან ღუკიელისა, და ვითარ განაპო ეკლესიად ღმრთისად, რომელი მოიგო სისხლითა თვსითა, და ვითარ მივეც მე თავი ჩემი მისთვს, რადთამცა გამოვიცხენ იგი. ოა ესე მალატიოს, რომელი მარადის წინა-აღუდგებოდა და პბრძოდა ეპისკოპოსთა და შეაწუხებდა წმიდათა მათ მოწამეთა, იყვნეს რად ივინი საპყრობილესა შინა, აწ უკუე იხილეთ, რადთა დაიცვენთ თავნი თქუენნი მისგან.

ოა აჰა ესერა შეგვედრებ თქუენ კელთა ღმრთისათა და მე მივალ მისა, ვითარ-იგი მიწოდა მე ნებითა მისითა. ოა მასმიეს, ვითარმედ მოციქულნი მეფისანი განმზადებულ არიან აღსრულებად ჩემდა, ვითარ-იგი წიგნითა ბრძანებულ არს მათა. ღოლო მე არავის რას ვეტყვ და არცა ვაყენებ თავსა ჩემსა მათგან, ვიდრემდის სრულ იქმნეს ღუაწლი ჩემი, რომელი მიწყიეს, ვითარცა აღმით-

ქუა მე უფალმან, და მსახურებად ჩემი, რომელი მოვიდე მე მისგან, მკნესელისა ჩემისა და მაცხოვრისა იესო ქრისტესგან. ოა მე აწ უწყვი, რამეთუ არღარა იხილოთ ამიერიტგან პირი ჩემი ცორციელად. ომისთეს გიწამებ თქუენ დღეს და უბრალმცა ვარ სისხლისაგან თქუენ ყოველთადასა, რამეთუ არა დაგაყენე, რომელიმცა არა გაუწყვე თქუენ სარგებელი სულისა თქუენისადა ყოველი, რომელი ბრძანებულ არს ჩემდა. ოა აწ ამიერიტგან იგულეთ თავთა თქუენთათეს და ყოვლისა სამწყსოდასათეს ქრისტესისა, რომლითა გყვნა თქუენ სულმან წმიდამან ეპისკოპოს და მწყემს, რადთა ჰმწყსიდეთ ეკლესიასა ღმრთისასა, რომელი მოიგო თავისა თესისათეს.

ოა მე უწყვი, რამეთუ შემდგომად აღსრულებისა ჩემისა აღდგენ კაცნი ვინმე მღდელთაგანნი და ზრახვიდენ სიტყუათა მრუდთა და განაპონ ეკლესიად კუალად, ვითარცა მალატიოს. ოა ამისთეს განგაკრძალებ თქუენ და გვედრები, რადთა მღვდარე იყვნეთ, რამეთუ შესულად ხართ კუალად განსაცდელსა და მწუხარებასა და უწყით, რავდენსა ჭირსა და ღუაწლსა მიეცა მამად ჩემი ეპისკოპოსი, რომელმან განმზარდა მე, კერპთმსახურთაგან ბილწთა, და ყოველნი იგი მკნედ დაითმინნა. ოა შემდგომად აღსრულებისა მისისა მე დავიპყარ საყდარი მისი. ოა ნეტარმცა ვინ იყო სხუად, მსგავსი მისი! და ვერეთვე კუალად დიონისოს დიდი იმალვოდა ადგილითი ადგილად წინააღმდგომთაგან საგელიოსისა.

ოა რადღა-მე ვთქუა პერაკლიოსისთეს და დემეტრიოს, საწადელთა ეპისკოპოსთა? რავდენნი განსაცდელნი დაითმინნეს ოროგინესგან მანიქველისა? და მანცა კუალად განაპო ეკლესიად დღეთა მათთა, და დაშთა შფოთი ეპისკოპოსთად, ვიდრე დღენდელად დღედმდე. ოა მამანი იგი, რომელნი იყვნეს უწინარშს მათსა, რავდენ დაშურეს და ილუაწეს ეკლესიისათეს ღმრთისა? არამედ მაღლი იგი ჰფარვიდა მათ უფლისა მიერ, და თქუენცა დაგიფარნეს და დაგაწყნარნეს. ოა მე აწ თქუენ შეგვედრებ ღმერთსა და მაღლსა სიტყვსა მისისასა, რომელი შემძლებელ არს აღშენებად თქუენდა და ყოვლისა სამწყსოდას მისისა».

ოა ვითარ თქუა ესე, მოიდრიკნა მუკლნი თესნი, და მათცა მოიდრიკნეს მუკლნი მათნი და თაყუანი-სცეს მას, და ულოცა მათ. ოა ვითარ აღასრულეს ლოცვად იგი, მოიკითხნა იგინი და მშუდობად დაუტევა. ღოლო აქილა და ალექსანდროს ამბორს-უყოფდეს კელთა მისთა და ტიროდეს, უფრო ზოლო სიტყვსა მისთეს, რომელი

პრქუა მათ, ვითარმედ არღარა იხილონ პირი მისი ცორციელად.

ჰაშინ მოვიდა, სადა-იგი იყო სიმრაველედ მღდელთად და ყოვლისა ერისადა, და ყო მათ თანა სიტყუად ნუგეშინის-ცემისადა და ულოცა მათ და განუტევნა მშუდობით. ოა გამო-რად-ვიდეს იგინი მუნიოთ, უთხრეს აქილა და ალექსანდრე ფარულად ყოველი, რომელი პრქუა მათ წმიდამან პეტრე პატრიარქმან. ოა ვითარ ესმა ესე მათ, დაუკვრდა და ცნეს, ვითარმედ არა თვნიერ ბრძანებისა მაღლისა მის საღმრთოდასა დაამტკიცებდა შეჩუენებასა და განკუეთასა არიოსისსა. ოა ვითარ ცნა არიოს საქმე იგი, დაფარა ზაკუვად იგი მედგრობისადა და წვალებისა თესისადა გულსა შინა თესსა და მოვიდა აქილადასა და ალექსანდრესა, ჰგონებდა მათგან ღხინებასა რასმე.

ღოლო წმიდამან პეტრე მთავარეპისკოპოსმან ვითარცა გულისკმა-ყო საქმედ იგი, რომელი განეშხადა მოციქულთა მათ, და იხილა ჭირი იგი ერისადა მის, შეეშინა მათთეს და ზრუნვიდა და განიზრახა, რადთა მისცეს თავი თესი მათთეს და დაშთეს ერი იგი დაცეული მშუდობით. ოა წარავლინა თესი მისი კაცი მოხუცებული და სარწმუნო, რომელი არა განემორობოდა მას, და პრქუა მოციქულთა მათ: «მოგვდით ამას ღამესა საპყრობილედ ჩრდილოთ კერძო კედელსა საპყრობილისასა, და მე შინადთ კერძო დავპრეკო კედელსა მას. ოა თქუენ ადგილი იგი დაარღვეთ და განმიყვანეთ და აღასრულეთ, რომელი ბრძანებულ არს თქუენდა».

ოა ვითარ ესმა ესე მკედართა მათ მეფისათა, შეიწყნარეს სიხარულით. ოა რაჟამს იყო ჟამი ღამისადა, აღდგეს ზუთნი მათგანნი ფარულად და მღუმრიად და მოვიდეს საპყრობილედ ჩრდილოთ კერძო, და არავინ იყო მათ თანა თვნიერ კაცთა მათ, რომელნი მოეყვანნეს თხრად კედლისა. ოა ვითარ მიიწივნეს ადგილსა მას, და ცნა ნეტარმან პეტრე მოსლვად მათი, შევიდა შინაგან საპყრობილესა, სადა აქუნდა ჩუეულებად დაყუდებისადა, რადთა არა ცნან საქმე იგი მყოფთა საპყრობილისათა, და დაპრეკა კედელსა შინადთ კერძო. ოა ცნეს, რომელნი იყვნეს გარე, სასწაული იგი, რომელი მიეცა მათა წმიდასა მას, და გამოარღვეს კედელი იგი ადგილსა მას, სადა დაურეკა მათ, და ყვეს გზა განსაგალ მათა.

ჰაშინ დასწერა წმიდამან მან სახედ ჯუარისადა წინაშე მისა და განვიდა მათა და პრქუა მათ: «უმჯობეს არს, რადთა მე მივსცე თავი ჩემი, და არა სიმრაველედ ესე ყოველი მოისრას

მანკლითა». **თა** საკვრველ ესე იყო, რამეთუ მას ღამესა იყო ქარი სასტიკი და წკმად ძლიერი, და არავის ესმა რღუევად იგი კედლისად. **თა** მისცა თავი თვისი ნეტარმან **პეტრე** და აღასრულა სიტყუად იგი სახარებისად: «უმჯობეს არს, რადთა ერთი კაცი მოკუდეს, და არა ყოველი ნათესავი წარწყმდეს» (ინ. 11,50), და მიემსგავსა უფალსა თვისსა, რომელი-იგი თქუა: «მწყემსმან კეთილმან დადვის თავი თვისი ცხოვართა თვსთათვს» (ინ. 10,11). **თა** ყოველი იგი ერი სხდა ბრჭეთა ზედა საპყრობილისათა და სცვიდეს. **ხოლო** წმიდა იგი მთავარებისკოპოსი ასწრაფებდა შემპყრობელთა მათ, რადთა აღასრულონ ბრძანებული იგი მათა, ვიდრე ცნობადმდე ერისა მის.

თა შეიპყრეს იგი და წარიყვანეს ადგილსა მას, რომელსა პრქჳან **იოპალო**, სადა-იგი წმიდამან **მარკოზ** მოციქულმან და მახარებელმან აღასრულა წამებად თვისი. **თა** შეიპყრნა მკედარნი იგი შიშმან და ძრწოლამან, იხილეს რად საშინელებად და სიზარუდ წმიდისად მის და სიმკნედ და კადნიერებად მისი სიკუდილსა ზედა. **თა** პრქჳა მათ წმიდამან მან: «გვედრები თქუენ, რადთა მგებდეთ აქა მცირედ, ვიდრემდის მივიდე სამარტკლესა მას წმიდისა **მარკოზ** მახარებელისასა». **ჰიუგეს** მკედართა მათ და პრქჳეს მას: «ვითარცა გნებავს, ვგრეცა ყავ, გარნა ისწრაფე ხოლო». **თა** იყვნეს პირნი მათნი მოდრეკილ ქუეყანასა ზარისაგან მის წმიდისა.

თა წარვიდა წმიდა იგი და მიეახლა საფლავსა წმიდისა **მარკოზისსა** და, ვითარცა ცოცხალსა, ვგრე ეტყოდა: «მამაო პატიოსანო და მახარებელო სახარებისა ძისა ღმრთისა მხოლოდ-შობილისაო და მოწამეო და ზიარო ვნებათა მათ მისთაო, რომელმან შენ გამოგირჩია, მან მხოლომან, უფალმან და მკსნელმან ჩუენ ყოველთამან, რადთა შენ იყო პირველი ებისკოპოსი, რომელი დაჯდეს საყდარსა ამას. **თა** შენ ასწვე ქადაგებად სარწმუნოებისად ყოველსა ქუეყანასა **გვებტისასა** და ამას ქალაქსა და კუალად აღასრულე მსახურებად, რომელი მოგეცა შენ, და არა თუ გვრგვნი წამებისად მოსაგებელი არს მისი, არამედ სხუად გვრგვნი მოიდე და ღირს იქმენ მახარებელად და ეპისკოპოსად და მოწამედ ღმრთისა დიდებულისა და მაცხოვრისა ჩუენისა იესუ ქრისტესისა და ჰყავ შემდგომად შენსა განმგებელ საყდარსა ამას ნეტარი **ანიანოს**, რომელი ღირს იყო მისა განგებად, და შემდგომად მისა **მილიოს** და მერმე **დემეტრიოს** და **ჰერაკლიოს** და შემდგომად მათსა **დიონისიოს** და **მაქსიმოს** და შემდგომად მათსა

თეფანოს ნეტარი, რომელმანცა განმზარდა მე, და მერმე მე მომეცა განგებად, ცოდვილსა ამას, და შევიწვნარე იგი მისგან, რომელი არა ღირს ვიყავ ამას პატივსა, არამედ სიმრავლითა მოწყალებათა ღმრთისა ჩუენისა იესუ ქრისტესისითა, და მიმამთხზა მე, რადთა ღირს ვიქმნე მოწამე ჭეშმარიტ, უკუეთუ მან ღირს მყოს აღსრულებად ღუაწლისა მის წამებისა, და ვიყნოსო სული სურნელებისად, ჯუარისა და ადგომისად, რადთა ღირს ვიქმნე საკუმეველად დათხვეითა სისხლთა ჩემთადთა მისთვს.

თა აწ მოწვეწულ არს ჟამი, რადთა მივიცვალო ქუეყანიო, და ილოცე ჩემთვს, რადთა განმამღიეროს მე უფალმან, და განვლო ასპარეზი ესე გულითა მაგრითა და მტკიცითა და არა ჩუენითა. **თა** აწ ესერა მიგიითუალავ და შეგვედრებ განგებასა და სამწყსოსა, რომელი რწმუნებულ იყო ჩემდა, რომელი პირველად გერწმუნა შენ ბრძანებითა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩუენისადთა, და იყავ ჩემდა მოძღუარ და მათაცა, რომელნი იყვნეს უწინარედს ჩემსა, და მეოზ საყდრისა მის, რომელი გარწმუნა შენ უფალმან ჩუენმან იესუ ქრისტემან, და აწცა იღუწიდ შვილთა შენთათვს და საყდრისა შენისათვს, რადთა დაიცვეს იგი უფალმან.

თა ვითარ დააცადა სიტყუად იგი, აღდგა საფლავისა მისგან და აღიპყრნა კელნი თვისნი და თქუა: «მ უფალო იესუ ქრისტე, ძეო და სიტყუაო მამისაო, ისმინე ვედრებად ჩემი და დააცხრე ზამთარი ესე ეკლესიათა შენთაგან და ყავ დათხვეად სისხლისა მონისა შენისად ბეჭედ და დასასრულ დევნულებისა სამწყსოდსა შენისა».

თა იყო მუნ დედაკაცი ქალწული წმიდა, რომელი არა განეშორებოდა საფლავსა წმიდისა **მარკოზ** მახარებელისასა და ყოველსა ჟამსა ლოცვასა აღასრულებდა. **თა** ესმა მას კმად ზეცით გარდამო, რომელი ეტყოდა: «**პეტრე**, თავო მოღუაწეთაო! **პეტრე**, სისრულეო მოწამეთაო!»

თა ვითარ აღასრულა ნეტარმან **პეტრე** თხოვად თვისი და ამბოროს-უყო საფლავსა წმიდისა **მარკოზისსა** და სხუათა მათ საფლავთა წმიდათა ებისკოპოსთასა, რომელნი დამარხულ იყვნეს მუნ, მაშინ მოვიდა მკედართა მათ თანა და შემპყრობელთა მისთა. **თა** იხილეს, პირი მისი იყო, ვითარცა ანგელოზისად. **თა** შეეშინა მათ შიშითა დიდითა და ვერ შეუძლეს სიტყვსა მიგებად მისსა, და რამეთუ ღმერთმან არა უგულუბელს-ყვნის მოყუარენი მისნი.

ჰოვიდა კაცი ვინმე მოზუცებული და დედაკაცი ვინმე ბერი ქალწული. **თა** მოვიდოდეს იგი ბა-

ნაკით და მივიდოდეს ქალაქად. **ჟოლო** კაცსა მას აქუნდა ორი ტყავი და უნდა განსყიდა მათი. **თა** დედაკაცსა მას აქუნდა ორი საბანი ტილოსად. **თა** ესე იყო განგებითა ღმრთისადთა.

თა ვითარ იხილნა იგი **პეტრე**, ქრისტეს მოწამემან, დაიბეჭდა ნიში ჯუარისად და ცნა, რამეთუ განგებითა ღმრთისადთა არს მოსლვად მათი. **თა** მოუწოდა მათ და პრქუა: «ქრისტეანენი ხართა?» **ხოლო** მათ პრქუეს: «ჰე, ქრისტეანენი ვართ». **თა** პრქუა მათ: «ვიდრე ხუალთ?» და პრქუეს მას: «ქალაქად, რადთა განვვიდოთ კელთსაქმარი ჩუენი». **სრქუა** მათ წმიდამან მან: «ღმერთმან მოგავლინა თქუენ, შვილნო ჩემნო მორწმუნენო». **ჰაშინ** გულისკმა-ყვეს, ვითარმედ მთავარეპისკოპოსი არს.

თა მოახლებულ იყო ჟამი განთიადისად. **თა** პრქუა მათ წმიდამან მან: «მგებდით აქა მცირედ, შვილნო ჩემნო». **სრქუეს** მას: «ვითარცა პბრძანე, ეგრეცა ვყოთ». **ჰაშინ** პრქუა მთავარეპისკოპოსმან მკედართა მათ: «მოვედით და აღასრულეთ ბრძანებაჲ მეფისა თქუენისად». **ჟოლო** მათ წარიყვანეს კვესა მას, მახლობელად საფლავსა წმიდისა **მარკოზისა**. **თა** პრქუა წმიდამან **პეტრე** მოხუცებულსა მას (და მკედარნი იგი დგეს): «განჰფინე ტყავი ეგე ქუეყანასა». **თა** ბრძანა საბანთადცა მათ დაფენად და დადგა იგი მათ ზედა აღმოსავალით კერძო და თაყუანი-სცა სამ-გზის და მერმე აღიპყრნა კელნი თვსნი ზეცად, ილოცვიდა და ჰმადლობდა უფალსა და დაიბეჭდა სასწაული ჯუარისად ყოველსა გუამსა მისსა და თქუა ამენი.

ჰაშინ მოიდრიკა ქელი თვსი პატიოსანი ქრისტესთვს და წარუპყრა თავი თვსი და პრქუა მათ: «ყავთ აწ ბრძანებული თქუენდა». **თა** შეეშინა მათ შიშითა ღიღითა, იხილეს რად იგი წმიდისა მისგან, რამეთუ კადნიერად და უშიშად ითხოვდა სიკუდილსა მას წამებისასა, **ხოლო** ივინი ზარისა მისგან შეშინებულ იყვნეს, და თითოეული აწუევდა მოყუასსა თვსსა, რადთა აღასრულონ იგი მახვლითა, და ვერვინ იკადრა მიახლებად მისა, რამეთუ ძრწოლასა შეეპყრნეს იგი ყოველნი.

თა ყვეს მათ შორის ზრახვად ესევითარი და თქუეს: «თითოეულმან ჩუენგანმან გამოვიდოთ ხუთი დრაჰკანი, და ვინ მოჰკუეთოს თავი მისი, მან წარიღოს იგი ყოველი დრაჰკანი». **თა** ერთსა მათგანსა აქუნდა დრაჰკანი და გამოიღო თავისა თვსისათვს და ნეშტი იგი ასესხა მოყუასსა თვსსა და დადგა ოც და ხუთი დრაჰკანი. **ჟოლო** ერთი ვინმე მიემსგავსა **იუდას ისკარიოტელსა** და ინება, რადთა დადგას ნაწილი მისი მის თანა, და კადნიერ

იქმნა მოკუეთად თავსა მის წმიდისასა. **თა** აღდგა და მოჰკუეთა თავი წმიდასა მას მოწამესა თუესა მეცხრესა ათორითგან და წარიღო დრაჰკანი იგი ყოველი.

თა წარვიდეს სწრაფითა ღიღითა მკედარნი იგი, რამეთუ ეშინოდა მათ ერისა მისგან ქრისტეანეთადსა, რამეთუ იყვნეს ივინი მარტოდ. **თა** დაადგრა გუამი წმიდისად მის მდგომარედ მრავალ ჟამ, ვითარ-იგი გვთხრეს, რომელთა-იგი იხილეს; და დგა იგი, ვიდრემდის აგრძნა საქმედ იგი ყოველმან ერმან, რომელნი იყვნეს საპყრობილესა თანა, და რამეთუ იყო მუნ სიმრავლედ ღიღადლი, რომელნი სცვიდეს კართა საპყრობილისათა. **თა** ვითარ ესმა მათ აღსრულებად მთავარეპისკოპოსისად და იხილეს კედელი საპყრობილისად მის დათხრილი, სირბილით წარვიდეს ივინი მწრაფლ და პოვნეს მოხუცებული იგი და დედაკაცი იგი ქალწული, რამეთუ სცვიდეს გუამსა მის წმიდისასა.

თა იყო დედაკაცი იგი ქალწული წინამძღუარ და განმგებელ მონასტერსა, რომელსა შინა იყვნეს ქალწულნი ექუსას. **ჰი-რად-იწია** ერი იგი, პოვეს გუამი იგი, რამეთუ დედაკაცსა მას მიეწვინა და დაეპურა პირი მისი საბნითა მით. **თა** ჯდა იგი მოყუსითურთ, და ტიროდეს. **ჰაშინ** გამოვიდა ყოველი ქალაქი და სრბით მივიდოდეს, რადთა იხილონ გუამი იგი ქრისტეს მოწამისად. **თა** ვითარ შეკრბა სიმრავლედ იგი, იწყეს გოდებად და ტირილად ღიღითა გლოვითა და მწუხარებითა ერთბამად ერთითა კმითა მწყემსსა მას მათსა ზედა წმიდასა. **თა** მერმე მოვიდეს მთავარნი ქალაქისანი ეკლესიისა მოწესეთა თანა და შეხვეს გუამი წმიდისად მის ტყავითა მით, რომელი იყო ქუეშე კერძო მისა, და დააყენეს ერი მიახლებად მისა, რამეთუ მოჰხვედეს სამოსელსა მისსა ველოვად.

თა იყო ყოველსა ჟამსა სამოსლად მისა სქემად შეუნიერი და სამოსელი სპეტაკი ფილონი და სტიქარი. **თა** ვითარ უნდა ერსა მას მოხვეად სამოსლისა მისისად და დატვევბად მისი შიშულად, მაშინ ძლით შეუძღეს მთავართა ქალაქისათა და ეკლესიისა მოწესეთა დაყენებაჲ ერისად და დაცვად მისი. **თა** იქმნა ერსა მას შორის შფოთი ღიღი, რამეთუ რომელნი-იგი მივიდეს მისა უწინარედს, უნდა მათ წარლებად წმიდისად მის, სადა-იგი აღიზარდა პირველად. **ჟოლო** სხუათა მათ უნდა, რადთა წარიღონ იგი ადგილსა მას, სადა გარდაიცვალა წმიდაჲ **მარკოზ** მახარებელი.

თა იყო ერსა შინა ცილობად ღიღი და შფოთი, ვიდრემდის ენებაცა ბრძოლისა ყოფად. **თა** ვითარ იხილეს ესე მთავართა ქალაქისათა და ეკლესიის-

სა მოწესეთა, შეეშინა, ნუუკუე ბრძოლად იქმნეს ერსა მას შორის, და წარვიდეს სწრაფით ზღუად და პოვეს ნავი და მოადგინეს, რამეთუ იყო ადგილი იგი მახლობელად ზღუასა. ოა ვითარ გარდაჰდა ჟამი მრავალი, და იყო ერი იგი შფოთსა შინა და ცილობასა, აღიბაცეს გუამი წმიდისად მის სწრაფით და დადვეს იგი ნავსა მას შინა და მოიღეს იგი ადგილსა მას, რომელსა ჰრქვან **ლუკადოს**, და მივიდეს საფლავად, რომელი თვთ ნეტარს მას აღეშენა, დასაყალით კერძო ქალაქსა, და მუნ მიიღეს იგი.

ჴოლო ერმან მან ვითარ აგრძნა ესე, არა პოეს იგი, გოდებდეს და ტიროდეს მწყემსისა მათისათჳს და წარვიდეს იგინიკა საფლავად წმიდისა მის და მიეწიფნეს გუამსა მას წმიდასა. ოა შეკრბა მუნ სიმრავლედ ერისად ურიცხვ და არა უტყვეს დადებად საფლავსა გუამი წმიდისა მის მოწამისად, ვიდრემდის შთასუეს იგი საყდარსა. ოა ესე იყო მიზეზი შთასუემისა მისისად საყდართა, რამეთუ ცხოვრებასა მისსა მრავლით ჟამითგან არღარა შთაჯდებოდა საყდართა ეკლესიისათა, არამედ დაჯდის იგი პარეხსა პირველსა საყდრისასა, ფერკთა თანა საყდრისათა. ოა ამის სახისათჳს ერი იგი დრტყნიდა მრავალ-გზის და მწუხარე იყვნეს.

ოა დღესა ერთსა იყო დღესასწაული დიდი, და აღვიდა წმიდა იგი პატრუაქი საკურთხეულად და უნდა მას დაჯდომად ფერკთა თანა საყდრისათა. ოა შეწუხნა ერი იგი და შეშფოთნა და კმა-ყვეს და ჰრქუეს მას: «საყდართა ზედა ჯერ-არს ჯდომად შენი, მამაო, სადა-იგი მიგიღებდეს კურთხევად, და არა თუ ქუემო კერძო საყდარსა». ოა ვითარ იხილა შფოთი იგი და ღალადებად ერისად, აღდგა და განუყარა მათ კელი, რადთა დადუმნენ. ოა იწყეს მღღელთაცა მათ ერისა მის თანა ვედრებად მისა, რადთა დაჯდეს იგი საყდართა ზედა. ოა მღღელთაცა განუყარა კელი, რადთა დადუმნენ და დააცხრონ ერი იგი.

ჴაშინ აღიპერა მარჯუენედ თჳსი და დასწერა ჯუარი ერსა მას, რადთა დადუმნენ. ოა ვითარ დაეწყნარნეს იგინი, დაჯდა იგი მასვე ადგილსა, ფერკთა თანა საყდრისათა. ოა ვითარ აღასრულა მსხუერპლი იგი დღისად მის, შევიდა იგი სახლსა მას, სადა-იგი ეპისკოპოსნი დასხდიან, და ბრძანა, რადთა განვიდეს ყოველი ერი თჳნიერ ეპისკოპოზთა და მღღელთა. ოაშინ ჰრქუა მათ: «რადსათჳს უკუე თქუენცა შემაწუხეთ ერსა თანა? რამეთუ არა უწყით, რად-იგი შიში და ძრწოლად და ზარი

შემემთხუევის მე. ოა შიში არნ გულსა ჩემსა, რაჟამს მივეახლი მახლობელად საყდართა და რაჟამს დავდგი ლოცვად, ვითარ-ესე გიხილავს, რამეთუ ვიხილი საყდართა ზედა ძალი რადმე ბრწყინვალედ, და შემპყრის მე შიმშან და სიხარულმან, ვიდრემდის ჰუალნი ჩემნი დაილექებოდნენ, და არღარა უწყოდი, რასა-იგი ვიქმოდი. ჴოლო ერისათჳს, და რადთა არა იჭუსა შეგთხვანე თქუენ, დაეჯდი ფერკთა თანა საყდრისათა, ვითარ-ესე მხედავთ მე მრავლით ჟამითგან, და ამას ვპყოფ კადნიერებით, და შინაგანი გულის-სიტყუად ჩემი დამკჳნის მე.

ჴოლო ოდეს დამემთხვოს და დაეჯდე მე ადგილსა მას ჩუეულებისაებრ ჩემისა კაცთა სარგებელისათჳს, ვითარ-ესე გაუწყე თქუენ, ნუ მაიძულებთ მე დაჯდომად საყდართა ზედა, რამეთუ საიდუმლოდ გულისა ჩემისად გამომიცხადებია სიყუარულისა თქუენისათჳს. ოა ამიერითგან რაჟამს მაიძულებდეს მე ერი ამისა ყოფად, თქუენ დაარწმუნეთ და დააცხრეთ, რადთა არა მაწყინებდენ მე ამისათჳს, ვინამთგან მითხრობია თქუენდა ზრახვად გულის-სიტყუათა ჩემთად».

ოა ამის მიზეზისათჳს ინება ერმან მან, რადთა შთასუან მთავარებისკოპოსი მათი და ქრისტემდ აღმსაარებელი და მოწამედ საყდართა მისთა. ოაშინ აღდგეს მღღელნი იგი ყოველნი და შეჰმოსეს მას სამოსელი საპატრუაქოდ და შთასუეს იგი საყდართა. ოა განიხარა ყოველმან ერმან და ეკლესიამან. ოა შემდგომად ამისა ისწრაფეს დამარხვად მისი. ჴოლო ერმან მან მოიღო სამოსელი ახალი მრავალ-ფერი, და მოიღეს საბნებიცა და არდაგები და ნელსაცხებელი და საკუმეველი დიდძალი და შემურეს გუამი წმიდისად მის და დადვეს საფლავსა მას, რომელი მას თვთ აღეშენა.

ოა შემდგომად ამისა მრავალნი სასწაულნი და საკურველებანი გამოჩნდეს ადგილისა მისგან, სადა წმიდა იგი დადებულ იყო, და აქამომდეცა ჰგიან სასწაულნი იგი. ოა რაჟამს იყო პირველ აღსრულებისა მისისა წამებასა მას შინა ზრუნვიდა ესრეთ სამწყსოდა თჳსისათჳს, და აწ უფროდს და უმეტეს შემდგომად აღსრულებისა მისისა ზრუნავს და უფროდს ზოლო, ვინამთგან მიიღო გვრგვნი წამებისად და აქუს მას დიდი კადნიერებად წინაშე უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტემსა, რომლისად არს დიდებად და პატივი და ძლიერებად მამისა თანა სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნიით უკუნისამდე. ომენ.